
ლიბერთი
60+
ჩვენ ვზრუნავთ გულით,
რომ ყოველდღე შეგიქმნათ
მეტი კომფორტი და უსაფრთხოება

# როდის ჩამერიცხება პენსია?

იმისათვის, რომ აგარიდოთ ხალხმრავალ ადგილებს პენსიის გაცემის სპეციალური სქემა შევიმუშავეთ:

1 სექტემბრიდან, საპენსიო თანხები, ყოველი თვის 1-დან 14-მდე შუალედში წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით გაიცემა.

წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, თქვენთვის განისაზღვრება ყოველი თვის ერთი კონკრეტული თარიღი და შესაბამისად, ყოველ თვე ერთი და იგივე თარიღში შეძლებთ პენსიის თანხის მიღებას. თქვენი პენსიის თარიღის ნახვა შეგიძლიათ:

- www.myliberty.ge
- 650-მდე ბანკომატში
- 550-ზე მეტი სწრაფი გადახდის აპარატის საშუალებით
- ცხელ ხაზზე: 032 255 55 00
- ლიბერთის ნებისმიერ სერვის ცენტრში



**თარიღის გასაგებად დაგჭირდებათ თქვენი პირადობის 11 ნიშნა ნომერი.**

რეგიონებსა და სოფლებში, სადაც არ არის ლიბერთის სერვის ცენტრები, ყოველი თვის 14 რიცხვიდან მოგემსახურებათ ლიბერთი ექსპრესის მობილური ბანკი და შესაბამისი გრაფიკები ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივ თვითმმართველობებსა და გამგეობებში.

# რა არის სოციალური ბარათი?

სოციალური ბარათი, როგორც ჩვეულებრივი საბანკო პლასტიკური ბარათი, გადახდის ყველაზე მარტივი და უსაფრთხო საშუალებაა. სოციალური ბარათით გადახდისას თქვენ შეძლებთ ისარგებლოთ განსაკუთრებული ფასდაკლებებითა და პრივილეგიებით ჩვენს პარტნიორ სავაჭრო ობიექტებსა და აფთიაქებში მთელი საქართველოს მასშტაბით.



ბარათით გადახდა, პანდემიის პირობებში, კიდევ უფრო აქტუალური და უსაფრთხოა, რადგან ნაკლები შეხება გექნებათ ნაღდ ფულთან.

## პინ კოდი

პინ კოდი ბარათის უსაფრთხოების კოდია, რომლის შეყვანაც ბანკომატის გამოყენებისა და  გადახდების შესრულების დროს დაგჭირდებათ. ბარათის მიღების დროს, კოდს დალუქული კონვერტით გადმოგცემენ და მასზე ინფორმაცია მხოლოდ თქვენ გექნებათ. წელიწადში ერთხელ კი საჭირო იქნება კოდის ფილიალიდან განახლება, მეტი უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის.

# განსაკუთრებული პირობები მხოლოდ თქვენთვის

ჩვენ გირჩევთ დატოვოთ ბარათზე თანხა მეტი უსაფრთხოებისთვის. განსაკუთრებული უპირატესობებით სარგებლობისთვის კი აუცილებელია, რომ გადაიხადოთ ლიბერთის სოციალური ბარათით ლიბერთის ტერმინალზე:

## ნიკორა სუპერმარკეტები

ნიკორა
სუპერმარკეტი

მხოლოდ სოციალური ბარათის მფლობელებისთვის,

**190** –ზე მეტ ნიკორა სუპერმარკეტში, ისარგებლეთ საუკეთესო ფასებით

**350** –მდე დასახელების პროდუქტზე.



# ფარმადეპო

გადაიხადეთ სოციალური ბარათით და ყოველდღე მიიღეთ საუკეთესო ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით, ფარმადეპოს

**200**-ზე მეტ აფთიაქში,

**2 200**-ზე მეტი დასახელების მედიკამენტზე.

**25%** -მდე ფასდაკლება ვრცელდება შემდეგ ჯგუფში შემავალ მედიკამენტებზე:



- გულსისხლძარღვთა;
- ძვალ-კუნთოვანი;
- დიაბეტური;
- ენდოკრინული;
- ანტიკოაგულანტი;
- ოფთალმოლოგიური.

ფარმადეპო
PHARMADEPOT

---

# ევექსი კლინიკები

ევექსი კლინიკებში მიიღეთ **უფასო** კონსულტაცია ოჯახის ექიმთან და
**50%**-მდე ფასდაკლება შემდეგ მომსახურებებზე:



- სპეციალისტის კონსულტაცია
- ლაბორატორული კვლევები
- ექოსკოპიური კვლევები
- კომპიუტერული ტომოგრაფია
- სტომატოლოგია

ევექსი
კლინიკები

გარდა იმ საჭიროებებისა, როგორიცაა საკვები, მედიკამენტი ან ექიმთან ვიზიტი, ჩვენ ვიზრუნეთ თქვენი დროის სასიამოვნოდ გატარებაზე და ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად გთავაზობთ განსაკუთრებულ პირობებს და ფასდაკლებებს:

**30%** - რუსთაველის თეატრი
**20%** - მოძრაობის თეატრი
**50%** - მოზარდმაყურებელთა თეატრი
**25%** - სილამაზის სალონი ნატალი აკადემია
**30%** - ბათუმის საბაგირო

# ლარის განაღდების სერვისი

ლარის განაღდების სერვისი დავნერგეთ სწორედ პანდემიის პერიოდში, რათა მაქსიმალურად შეგვემცირებინა თქვენთვის ბანკში ვიზიტის აუცილებლობა.

თუ აუცილებლად გჭირდებათ ნაღდი ფულით სარგებლობა პსპ, ავერსი და ფარმადეპოს აფთიაქების ქსელში, ასევე ნიკორა სუპერმარკეტებში



მთელი საქართველოს მასშტაბით, მინიმუმ 5 ლარის ღირებულების პროდუქციის შეძენის შემთხვევაში შეძლებთ სალაროდანვე გაანაღდოთ 50 ლარამდე თანხა, რომელიც ჩამოიჭრება თქვენივე საბარათე ანგარიშიდან და ბანკში ან ბანკომატთან მისვლა აღარ დაგჭირდებათ.

# ინტერნეტ და მობაილ ბანკი

თუ სახლში გაქვთ კომპიუტერი ან ფლობთ სმარტფონს, ისარგებლეთ ლიბერთის ინტერნეტ და მობაილ ბანკით და ძალიან მარტივად, რაც მთავარია სახლიდან გაუსვლელად და ბანკში მისვლის გარეშე:



- შეავსეთ მობილური ბალანსი
- გადაიხადეთ კომუნალურები
- მიიღეთ და გააგზავნეთ ფულადი გზავნილები
- შეამოწმეთ ჩაირიცხა თუ არა თანხა თქვენს ანგარიშზე

## როგორ გავიაქტიურო ინტერნეტ ბანკი?

- ეწვიეთ ვებგვერდს www.365.ge და დააჭირეთ რეგისტრაციას
- შეიყვანეთ პირადი ნომერი და ბანკში ფიქსირებული მობილურის ნომერი
- შეიყვანეთ მობილურზე მიღებული SMS კოდი
- დააყენეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი და ჩაინიშნეთ, რომ არ დაგავიწყდეთ შემდეგ ჯერზე შესვლისას
- დაადასტურეთ რეგისტრაცია მობილურზე მოსული SMS კოდით

## როგორ გადმოვწერო მობაილ ბანკი?

- მოძებნეთ App store ან Play store თქვენს სმარტფონში
- ჩაწერეთ Liberty Mobile საძიებო ველში
- გადმოწერეთ აპლიკაცია
- იპოვეთ ლიბერთის აპლიკაცია თქვენი სმარტფონის ეკრანზე და გახსენით
- დააჭირეთ ღილაკს „დარეგისტრირდი“
- შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი
- ჩაწერეთ საკონტაქტო ნომერი, რომელზეც შეძლებთ შეტყობინების მიღებას
- ჩაინიშნეთ მომხმარებლის სახელი, რომ არ დაგავიწყდეთ შემდეგ ჯერზე შესვლისას
- დააყენეთ პაროლი ინსტრუქციის გათვალისწინებით და გაიმეორეთ
- შეიყვანეთ SMS კოდი

Available on the App Store

GET IT ON Google Play

# თვითმომსახურების აპარატები

ლიბერთის ბანკომატები და გადახდის აპარატები ხელმისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერ დროს. მათი საშუალებით თქვენ შეძლებთ, თავიდან აირიდოთ ბანკის სერვის ცენტრებში ვიზიტი, შეასრულოთ გარკვეული საბანკო ოპერაციები გადაიხადოთ კომუნალური გადასახადები – საკომისიოს გარეშე!

გადახდის აპარატებისა და ბანკომატების გამოყენებისას, გაითვალისწინეთ, აუცილებლად დაიცავით  მინიმუმ 1 მეტრიანი დისტანცია და შეძლებისთანავე დაიბანეთ ხელები.

## როგორ ავიღოთ პენსია ბანკომატით?

1




მოათავსეთ საბანკო ბარათი ბანკომატში ისე, რომ შავი (მაგნიტური) ზოლი იყოს ქვემოთ

2




ბარათის განთავსების შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება მენიუ და ეკრანის მარჯვენა მხარეს მდებარე ღილაკების მეშვეობით აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ენა

3




ენის არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ველი „გთხოვთ შეიყვანოთ პინ კოდი". აკრიფეთ პინ კოდი კლავიატურაზე და დაელოდეთ ეკრანზე ახალ მითითებას

4




პინ კოდის სწორად აკრეფის შემდეგ ეკრანზე დაიწერება ჩაგერიცხათ თუ არა თქვენ ანგარიშზე მიმდინარე თვის პენსია / სოციალური დახმარება

5




თანხის გასატანად, დააჭირეთ ღილაკს „თანხის განაღდება" და აირჩიეთ სასურველი თანხის მოცულობა

